საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოში
მედიცინის აქტუალური პრობლემების
შემსწავლელი კომისია

ჟურნალისტთა

ხუთშაბათს 28 ოქტომბერს, 17:00-ზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში (რუსთაველის გამზირი 52, მე-3 სართული), გაიმართება აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „საქართველოში მედიცინის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ მორიგი სხდომა, რომლის თემაა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში.

დღის წესრიგი

1. "მოსახლეობის რისკების აღქმისა და პრევენციული ქცევების მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის ფონზე საქართველოში". იაგო კაჭკაჭიშვილი, თსუ პროფესორი, სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. “ვინ არიან და რა ამოძრავებთ ანტივაქსერებს?“ აკაკი ზოიძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ ექსპერტი.
3. შეკითხვები და დისკუსია

სხდომა ეძღვნება უმნიშვნელოვანეს პრობლემას - COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინაციას, კერძოდ, ვაქცინაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. პირველი მოხსენება ეხება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, 2020-2021 წლებში ჩატარებულ ერთობლივ კვლევას, რომელშიც გაანალიზირებულია მოსახლეობის განწყობები და დამოკიდებულებები ვაქცინაციის მიმართ.

მეორე მოხსენება გაანალიზირებს ანტივაქსერულ მოძრაობას საქართველოში, მის ფესვებს, მიზნებსა და მასთან ბრძოლის შესაძლო მეთოდებს.